

პროექტის №40

ეკოლოგიურად საშიში მანგანუმშემცველი და ნახშირბადშემცველი ნარჩენების
უტილიზაცია ფეროშენადნობთა წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოების
მიზნით.

ხელმძღვანელი - ზ. სიმონგულაშვილი

დაფინანსება - 10000 ლარი

მიღებული შედეგები:

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავებულია და ათვისებულ იქნა ფეროშენადნობთა წარმოების ნარჩენებისგან მიღებული კომპლექსური ბრიკეტების (წილა+მტვერი+კოქსი) მიღების რესურსდამზოგი ტექნოლოგია, საქართველოში არსებული ფეროშენადნობთა საწარმოების პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ნარჩენების უტილიზაციის პრობლემის გადაწყვეტას, დეფიციტური და ძვირადღირებული მანგანუმშემცველი და ნახშირბადშემცველი მასალების მოხმარების შემცირებას, წარმოების ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაზრდას და თავიდან გვაცილებს გარემოს დაბინძურების საფრთხეს.

ჩატარდა შემუშავებული ტექნოლოგიის სამრეწველო გამოცდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პირობებში, რომელმაც მოგვცა დადებითი შედეგი. აღნიშნული ტექნოლოგიის კომერციალიზაცია არ მოითხოვს დამატებით კაპიტალდაბანდებას და მისი დანერგვის შედეგად, როგორც ჩატარებულმა გამოთვლებმა გვიჩვენა, შესაძლებელია მივიღოთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი.